









# ჭ ი თ ნ ე რ ი

საპარტიო-პოლიტიკო-სამხარეთმშენებლო  
საზოგადოებრივი მუშაკთა გაერთიანება

№ 12

დეკემბერი, 1952 წ.

წელიწადი XXVI



წაკ

ი. ბ. სტალინის მონუმენტი გორში

მოქმედებები: შ. შიქაძე და ელ. მაჩაბელი.





სიძონ ჩიქოვანი

საუბარი კოლონელ ბავშვებთან

წიგნიდან „თავისუფალ კოლონიეთში“

მთაში მხედებიან ცქეტი ბავშვები,  
ბარში აბოლდა სოფლის ბუხრები,  
ბავშვებს თიქენარში ვეთამაშები  
და გორის სახლზე ამბავს ვუყვები.

არწივის ბუდე რარიგ თბილია,  
როგორ ახლოა მისთვის ტატრები,  
და ბავშვის თვალში აღბეჭდილია  
გორის სახლი და კრელი ჭადრები.

დაწითლებიათ ბავშვებს ლოყები,  
თოვლზე წვებიან მოკლე ლანდები.

ქართლიდან ბრძოლის  
გრძელ გზას მოვყვები  
და კრემლის კართან შევეგვიანდები.

ამ გზამ გაწაფა ფრთები არწივის,  
ფრთებმა გაფანტა მთებზე ღრუბლები.  
გორია ყველა ქვეყნის ნაწილი  
და გორის ამბებს ბავშვებს ვუყვები.

ტატრიდან ბრძენის სახლი ავლანდე,  
როგორ ეტრფიან ნორჩი გულები.  
და მე მგონია გორის კარამდე  
მოსჩანს ბავშვების ნაფეხურები.

პეტე ზიჩინა

ბელადის საშობლო

ჩვენ, დიდი მამულის შვილნი,  
მთელი ხმით ვლაღადებთ, ვმღერით.  
როგორ არ ვადიდოთ გმირის  
სამშობლო, სინათლის მფენი.

ო, გორო, დახვედრა იცი  
დასავით გულგაშლით, ნაზად —  
მე ვეტრფი მაგ შენი მიწის  
მასპინძლურ ემხსა და ლაზათს.

ლაქვარდი, მთა-ბარი ტურფა  
ვილას არ ატყვევებს შენი;  
შევჩენკოს ქვეყნიდან, სულდგმავ,  
მიიღე სალამი წრფელი.

ქედი არ მოდრიკე მტრის წინ,  
სულ ხმალზე გებლუჯა ხელი.  
ტარასის ქვეყნიდან ერთხმად  
მიიღე სალამი ჩვენი...

გმირული ბრძოლებით შესძელ  
შენახვა ძვირფასი განძის  
და მერე ციკაბო მთებზე  
ფრთის გაშლა ასწავლე არწივის...

ვინც ალაღმართალ კაცს ყველგან  
ჩაუდგა სიცოცხლის ძალა...  
შევჩენკოს სამშობლო ერთხმად  
გიგზავნის მხურვალე სალამს.

თარგმნა ვ. ბაიაძემ





# ეს იყო დეკემბრის ერთ დღეს



საბჭოთა კავშირმა თავისი გამარჯვებით ჰიტლერულ გერმანიაზე გაათავისუფლა გერმანიის დემოკრატიული ძალები და შეუქმნა მას სრული შესაძლებლობა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა.

გერმანელი მწერალი პეტერ ვიპსი თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას სწორედ ჰიტლერიზმის განადგურების შემდეგ იწყებს. მანამდე გემზე შავ მუშად მუშაობდა; ომი, ტყვეობა პეტერ ვიპსს არ აძლევდა ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობის შესაძლებლობას. მხოლოდ ახალი, დემოკრატიული გერმანიის სინამდვილის პირობებში შეძლო შეექმნა მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელშიც ასახულია გერმანიის ახალგაზრდობის გმირული ბრძოლა სამშობლოს კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის.



## სუნ - თონი

ეს იყო 1950 წლის დეკემბრის ერთ დღეს, როცა ჯარისკაცი შუენი თავისი მეთაურის წინ იდგა და სამი-ოთხი საათით განთავისუფლებას თხოვდა.

— მე სუნ-თონიდან ვარ, — თქვა შუენმა და ხელი გაიშვირა მთებისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

მეთაური ხედავდა, როგორ ცახცახებდა ჯარისკაცის ხელი... ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ჩამოწოლილიყო სქელი, კუპრივით შავი ღრუბლების ბოლი... ამერიკელებმა წინა დღით ათასამდე ყუმბარა ჩამოყარეს პატარა უდანაშაულო ქალაქში.

— საღამოს აქ უნდა იყო, — თქვა მეთაურმა წყნარად და სახეში შეხედა თავის ჯარისკაცს, — შენ ხომ იცი, წინ უნდა წავიდეთ... მტერი გარბის.

შუენმა თავი დაიქნია.

— მტერი გარბის! — გაიმორა მან.

ნათელმა სხივმა გადაურბინა შუენს სახეზე... მან სასწრაუოდ გადიო მხარზე თოვი, გამოეშვიდობა მეთაურს და გვემართა მთებისაკენ, შავი, არაკეთილისმომასწავებელი ღრუბლების მიმართულებით.

მეთაურმა თვალი გააყოლა შუენს. იგი ისევე კარგად იცნობდა შუენს, როგორც თავის თითოეულ ჯარისკაცს. მას ახლა გაახსენდა, რომ შუენი თავისი ცოლისა და პატარა ბავშვების შესახებ ხშირად უამბობდა ხოლმე, და გული სიბრალულით შეეკუმშა.

როცა მთიდან ღამის პირველი ჩრდილი მინდვრებს დაეცა, შუენი უკვე ადგილზე იყო. მან თავისი დაბრუნების შესახებ მოახსენა მეთაურს. ჯარისკაცს უნდოდა შეუმჩნევლად დამდგარიყო თავის ადგილზე, რადგან ის იყო სიგნალი მისცეს შეტევაზე გადასასვლელად. მეთაურმა მეგობრულად მოჰკიდა ხელი სახე-





ლოზე; მან თავისი ჯარისკაცის თვალეში ამოიკითხა, რომ მას რაღაც უაღრესად მძიმე უნდა შემთხვეოდა.

— შუ-ენ, უთხრა მან, — შუ-ენ... აღარაფერი დაგხვდა? ნუთუ ყველა... ყველა მკვდარია?

— ყველა! — გაქვავებული სახით უპასუხა შუ-ენმა. — ორი პატარაც... ყველა!

— არაფერი? არაფერი მეტი?..

შუ-ენი შეეყოფანდა. უკვე ბნელდებოდა; მაგრამ მეთაური ამჩნევდა, როგორ ეცვლებოდა სახე მის ჯარისკაცს. შუ-ენს გაქვავებული სახე ერთბაშად გაუბრწყინდა.

— დიახ, — თქვა შუ-ენმა წყნარად, — ნანგრევებში ერთი რამ ენახე... ერთი... — მან ამ სიტყვებით ზურგიანთიდან ამოიღო პატარა

ყუთი და გახსნა. მეთაურმა შენიშნა ყუთში არაფერი იყო, გარდა წყვილი ლენტისა და სამაჯურისა, რომელსაც შუ-ენის ბავშვები ატარებდნენ... და კიდევ ერთი სურათი. შუ-ენმა ამოიღო სურათი და მეთაურს უჩვენა.

— მხოლოდ ეს ერთი... — თქვა მან, — გამარჯვება... და მშვიდობა!

შუ-ენი მწყობრში ჩადა და ისევ ზურგჩანთაში ჩადო ყუთი, რომელიც მთელ მის ავლადიდებს შუადგენდა. — მთელ ავლადიდებს კორეელი ჯარისკაცისას... რამდენიმე სახსოვარი დაღუბული ოჯახიდან და სურათი, რომელიც შეიცავდა გამარჯვებასა და მშვიდობას.

ეს იყო სტალინის სურათი!

## ბერლინ-ტიეგელი \*

ეს იყო 1950 წლის დეკემბრის ერთ დღეს, როცა მძიმე რკინის კარი ყრულ მიხეტრა.

კიდევ ერთხელ გადატრიალდა გასაღები და შემდეგ მიწყდა გუშაგის ფხვის ხმა... ბერნარდ შვარცმა თვალები მაგრად დახკვა და ყურებზე ხელი მიიფარა.

სამი თვე... ეს ციხის ოთხმოცდაათი დღე! თვითონ კი მხოლოდ 16 წლისაა...

სამი თვე ბერნარდ შვარც, სამა ნაბიჯი წინ! — სამი, ოთხი, აღსრულდა! რუხი კედლებ-

ში. ზეეტი, ჭერქვეშ, პატარა ირიბი ფანჯრები, რიკული, რკინის დასაკეცი საწოლი, ტაბურეტი... ასეთია ციხე. სამი თვე ბერნარდ შვარც! ახალგაზრდამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ეს იყო ოთხმოცდაათჯერ 24 საათი. ეს კი დასავლეთ ბერლინში ნიშნავს სწავლის უფლებს და კარგებს და დედა... დედის სახე...

ბერნარდ შვარცი მოწყვეტილ დაეშვა სკამზე და ხელები მუხლებში ჩაიწყო, მდრღნელი, ავადმყოფური ფიქრები ამძიმებდნენ მას ამ სამარისებურ სიჩუქეში.

«რა ვქენი? — საგონებელში ჩავარდნილი ფიქრობდა იგი. — რა გავაკეთე? მე ვაგროვებდი ხელის მოწერას მშვიდობისათვის! და განა ესაა დანაშაული? ბრალმდებელმა... მსაჯულმა... ეს არისო დანაშაული! — თქვენ მათ, და ამისათვის სამი თვე!..»

მან თვალები დახუჭა და ყურებზე ხელები მაგრად მიიჭირა... აშინებდა მას ეს სამარისებური სიჩუქე; სასოწარმყვეთი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ, სტანჯავდნენ.

ყმაწვილმა ტუჩზე იკბინა. «დანებება არ შეიძლება, არც ლაჩრიობა. სხვებს ბევრად მეტი აქვთ გადატანილი. სხვებს...» და ავ სხვებს შორის



\* რაიონი დასავლეთ გერმანიაში.



მასაც, რომელიც ბერნარდ შვარცს უყვარს, რომელსაც იგი პატივის სცემს ისე, როგორც შეიძლება გიყვარდეს და პატივის სცემდე მშობელ მამას. მან სულ ცოტა ხნის წინათ ერთერთ ჟურნალში ნახა სურათი, რომელიც ასეა, აი, ამ წუთში ხელახლა აღსდგა მის გონებაში... და ეს სურათი იყო ისე ცოცხალი, ისე საგრძნობი... ჯარისკაცები—გრძელი თოფებითა და მკაცრი სახეებით, ცნობის-მოყვარეობით იყურებინან. სურათის ცენტრში მოჩანს წამების გზა... სახეები გრძელი წვერებით... მეფის რუსეთის პატიმრები.

სტალინი გადასახლების გზაზე. დიახს, სტალინი იყო პატიმრებს შორის... მას მხარზე გადაკიდებული ჰქონდა პატარა ჩანთა...

და თვალეში გამარჯვების რწმენა, გამარჯვება!

დიდხანს, დიდხანს უტკერდა ბერნარდ შვარცი ამ სურათს. შემდეგ გაახილა თვალეში და გაიღიმა. იგი ადგა, მიმოიხედა გარშემო და გაიცინა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, სამი, ოთხი... გაათვდა! სამი თვე უნდა აკეთოს მან ეს რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ის მაინც იცი-ნოდა. ბოლოს იგი მივიდა კედელთან, სადაც ფანჯარა იყო, და კირზე ფრჩხილით დაიწყო წერა. ამ კედელზე იგი ამოჭრის მხოლოდ ერთადერთ სიტყვას, ერთადერთ სიტყვას მთელს მსოფლიოში:

ს ტ ა ლ ი ნ ი !

### ნიუ-იორკი

ეს იყო 1950 წლის დეკემბრის ერთ დღეს, როცა ჯემს ვისტლერმა ნიუ-იორკის მე-93 ქუჩის კუთხის ვესტიბიულში თავისი ქუჭუყიანი ფეხები პატარა ზანგის ფეხსაცმლის საწმენდ ყუთზე დააწყო.

ვისტლერი კარგ გუნებაზე იყო, რადგან დღეს მან ერთერთი დიდი საეჭირო ოპერაციისას ჯიბე გაისქელა. იგი სტვენდა დაჭიანჭებული კბილებიდან და დაფიქრებული დაპყრობდა პატარა ზანგის ხუჭუჭთიან თავს.

— ჩქარა, ზანგო, ჩქარა!—თქვა ვისტლერმა, და ნერვიულად აათამაშა ფეხი. შაგმა სახემ ქვევიდან შეხედა ვისტლერს და გაუღიმა, მისი ხელები კი სწრაფად განაგრძობდნენ მოძრაობას... ჯაგრისი... ჩერები...

— მე „გრიგალი“ ვარ, მისტერ მე ყველა გრიგალს მეძახის, ძალიან სწრაფი ვარ.


— ენა ჩაიგდე!—უხეზად დაუყვირა მისტერმა. ვისტლერი წამოიწია, თავშესაქცევად ხელი მოკიდა წიგნს, რომელიც, ჩერებში ნახევრადჩამალული, ჯაგრისის თაბაკაზე იდო, და გადაშალა.

— იცი კითხვა, ზანგო?..—შეეკითხა იგი.

„გრიგალმა“ თავი აწია. პატარა ზანგს შიშისაგან ნაცრისფერი გადაეკრა სახეზე, როცა

წიგნი თეთრის ხელში დაინახა. ჯაგრისი და ჩვარი ხელიდან გაუვარდა... სქელმა მისტერმა ფეხი მაღლა აწია და თავისი უხეში წაღამთელი სიძულვილით შიგ მუცელში ამოარტყა პატარა ზანგს.

— წყევლა-კრულვა თქვენ!— დაღირალა ვისტლერმა და წამოხტა. გაცოფებულმა წაქცეული ზანგი წამოაყენა და დაუწყო ცემა წიგნით და მუშტებით შიშისაგან დაღმეული პატარა სახეში.



უსაქმოდ მოხეტიალეებისა და მგზავრების აყიციანებული ბრბო სწრაფად შეიკრიბა ვესტიბიულში... აღიმაბრთა მუშტები და ჯოხები, რაც ამერიკაში იმას ნიშნავს, რომ ზანგს სცემენ. აქ არ კითხულობენ რისთვის და რატომ...

ჩასუქებული პოლიციელი მთარღვევდა ბრბოს. პირზე დორბლებმომდგარმა, გაცოფებულმა ვისტლერმა შეჰყვირა პოლიციელს:

— კომუნისტია!

— კომუნისტია! — ღრიალებდა იგი და სკემდა.

ფრიალებდნენ წიგნის ნაფლეთები... ამაოდ ცდილობდა «გრიგალი» დაეპირა წიგნის ნაფლეთები... ბოლოს იგი ჩუმი, ყრუ კენესით

## ჭ ე მ ნ ი ც ი

ეს იყო 1950 წლის დეკემბრის ერთ დღეს, როცა ხარატის მოწაფემ ოტმარ კრაუზემ თავის სიცოცხლის მანძილზე ყველაზე დიდი სიხარული განიცადა.

ხელოსნები და მათი თანაშემწეები მოულოდნელად ქარხნის ერთერთი საამქროს მიამაგრეს...

და ყველამ, ყველამ ნახა და განიცადა ეს სასწაული, ნამდვილი სასწაული, რომელიც შედგება სისხლისა და ხორცისაგან. ეს იყო ერთი ტანადი, შავთმიანი მამაკაცი, — გამხდარი, ქვიანი სახით. ეს იყო ხარატი, როგორც თვით ოტმარ კრაუზე უნდა გახდეს. მაგრამ როგორი ხარატი!..

— ის უკვე 1970 წელსი ცხოვრობს. — წაუჩურჩულა ოტმარს პატარა ფუნკმა და გვერდში ხელი წაკრა, მან უკვე ოთხი ხუთწლიდის გემმა შესარულა, — კვლავ აღფრთოვანებით ჩაულაპარაკა კრაუზეს ფუნკმა.

მათ წინ იდგა საბჭოთა ხარატი ბიკოვი, რომელიც სახარატო დაზვასთან რაღაცის მანიპულაციას აწარმოებდა. მან იქ მდგომთ გაუღიმა და დეტალი თავის ადგილას ჩასვა...

ქალარა ოსტატები, რომელთაც ბევრი რამ ჰქონდათ ნახული, გაფითრდნენ... მათი მოწაფეები კი, ერთ ადგილას გაუნძირებლად იდგნენ და გაოცებული შეჰყურებდნენ საბჭოთა ხარატს.

ეს იყო სასწაული, რომელიც სიტყვებით მწელად აიწერება... ისინი ხედავდნენ ადამიანს, რომლის ხელებიც გატაცებით მოძრა-

დაეცა პირალმა და აღარც განძრეულა, როცა გორც ნავის გროვა, ისე მიაგდეს კუთხეში... მხოლოდ საღამოს გაბედეს «გრიგალის» შავმა კოლეგებმა მისი უგრძნობი სხეულის აღება. ერთერთმა მათგანმა ძლივს ამაოძრო მოკრუნჩხულ ხელიდან ქაღალდის ნაგლეჯი, ჯერ თვითონ წაიკითხა, რაც შიგ ეწერა, და მერე ხეუბს გადასცა. მათ თავი გაიქნიეს და ერთმანეთს შეხედეს. «ამიტომაც»... ჩაილაპარაკეს მათ.

იმედის სხივმა გაიელვა მათ შავ, სეცდიან თვალბებში. ისინი კარგად იცნობდნენ წიგნს, რომელსაც «გრიგალი» კითხულობდა. ამ ქაღალდის ნაგლეჯზე ეწერა:

«... ს ტ ა ლ ი ნ ი ».

ობდნენ. ისინი ხედავდნენ ადამიანს, რომელიც მგზნებარედ მისწრაფოდა წინ მომავლისაკენ და ამოკლებდა წლებს.

ეს ადამიანი იყო პავლე ბიკოვი.

ოტმარ კრაუზე წინ გაძვრა და პავლე ბიკოვის გვერდით შეჩერდა, როცა ამ უკანასკნელმა რაღაცა დეტალი ამაოძრო დაზვიდან და როცა მთელ დარბაზში ყრუ ჩურჩული განისმა. ოტმარის თვალს ვერ აშორებდა ამ შავთმიან მამაკაცს.

— სასწაულია! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ.

ბიკოვმა გაიცინა და ოტმარისაკენ გადახარა. ბიკოვს ეს სიტყვა ვადაუთარგმნეს. მაშინ მან ახალგაზრდას აბურძენულ თმაზე ხელი დაადო და ერთბაშად სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— არა, — თქვა მან, — ეს არაა სასწაული საქმე იმაშია, რომ მე საუკეთესო მასწავლებელი მყავდა, ჩემო კარგო, ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი.


და არ დარჩენილა არცერთი ადამიანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ნამდვილად სახალხო წარმოებაში, რომელსაც ბიკოვისათვის არ დაეკვრებოა, რომ:

ადამიანი, რომელმაც სამუდამოდ დამორჩილა მომავალი:

ს ტ ა ლ ი ნ ი ა !

გერმანულიდან თარგმნეს **მ. შლენდბა** და **მ. გელაზივილა**





გივი შვეტაძე. ვახუშტის ჯიშისა

ნახ. ალ. ბანძელაძის

## ბელადის სახლთან

დღეს პრენცლავ საშუალოში პიონერებს აგზავნის, პატარების სიმღერებით ავსებულა ვაგზალი. ოცნებობენ ჩვენი ქვეყნის ნახვის მოომედენი. პრენცლავიდან მატარებელს აცილებენ დღეები. მოკითხვას და ნახვის ნატვრას ახარებენ პატარებს და ბავშვებიც ოცნებაში გორის სურათს ხატავენ.

ეს წუთები ირა გერნერს განა დააიწყებდა! ამ პატარა სადგურიდან საშუალო იწყება. თმებს უწეწავს ნიავეარი პრენცლავიდან მოფრენილს, ეგებება მატარებელს უკრაინის სოფლები. უმზერს ირა ზოდანბენებს მოციმციმე თვალითა, ხელს უქნევენ ვაგაკები მოღაღანე ყანადან. ზოლოს დახვდა მატარებელს მაღალ მთების კედელი, იდგნენ და ქედს არ იხრიდნენ კავკასიის ქედები. მარჯვნივ ზღვაა, მარცხნივ მთები შემოსილან მწვანეთი, აქეთ ლურჯი ხავერდია, იქით—მწვანე ხავერდი.

მზე ამოდის, ფრთა დაქუცა ღამე გორის ციხესთან, ლაკვარდიდან ცხრათვალა მზემ დიმიტი ვაღმოიხედა. ვაშლია და ატმის რტონი ქარმა აანანავა, მალხაზების კრიაშული მისწვდა ციხის გაღავანს. მზემ სხივები დაახვევა, ცამ ვაღიხსნა საკინძე, სულ პატარა სტუმრები აყავო დღეს პატარა მასპინძლებს. გაღიარეს მტკვარზე ზიღი, მთებს გახედეს ზეიადებს, და ლენინის ფართო ქუჩით სტალინის სახლს მიადგნენ. რა ღიღი და რა პატარა სახლი არის ალიზის, ამ სახლისკენ რომ მოღიხარ—გულმა დაძღა არ იცის. სარკეში რომ ჩაიხედავ—კაშკაშა მზე ამოდის, სურას ნახავ—სავეს არის უკვდავების წყაროთი. სახლს მერცხალი დასუქებებს—გაზაფხულის მაყარი და ანთია ცისკარივით მოსატული აკვანი.

მზე მთებს იქით გაიხიზნა, ცამ შეკრა საკინძე,  
სულ პატარა სტუმრები ჰყავი დღეს პატარა მასხინძლებს.  
ლაყვარლს ბინდი შევარა მათი ხმების წყრიალში,  
თანატოლი სტუმარი ჰყავს დღეს ნათელა იაშვილს.  
საუბრობენ, თითქოს იყვნენ ნაცნობები ათი წლის,  
სტუმარს მოსწონს ტკბილი სიტყვა და რუსული მასხინძლის,  
ერთ ეზოში შეაბიჯეს, შუქი კრთოდა სახლიდან,  
კართან დედა შეეგებათ გაღიმებულ სახითა.  
ისაუშმეს, ისაუბრეს ღიღინას, დაუსრულდობივე,  
როცა სიტყვას ვერ იგებდნენ, საუბრობდნენ გულგებით.  
მეგობარმა მეგობრისა ყველაფერი გაიგო,  
შეგვერემანი და უღიმის ოქროსოვანი დაიკოს.  
მერცხლის ენით ექიპქია, არ დააკლო ამბორი,  
ოთახებში დაატარა, გაღუსულა აღბომიც...

ირა შედგა გაკვირებით, რაღაც ჩასწვდა გულამდის,  
ნეტავ აქ ვინ მოიტანა დედამისის სურათი...  
იყონ ბავშვმა დედის ღიმი, მშობლის თვალთა ადერსი  
და ნათელას გაკვირებით შეაქტერდა თვალებში.  
— მომისმინე—თქვე ნათელამ,—ამ შეიდი წლის წინათა,  
როცა ზეცა ვარდობისთვის მზის სხივებით ბრწყინავდა,  
როცა მტარვალს ვუკითხავდით სასიკვდილო განაჩენს,  
ეს სურათი თან ჩამოყვდა გამარჯვებულ მამაჩემს.  
მამაჩემი ომში იყო, ცხრა მთა გადაიარა,  
მტერს ებრძოდა ვაჟაკურად, ძირს არ სრიდა იარაღს.  
და როდესაც გზას იკვლევდა ხიშტითა და კონდახით,  
მან იხილა ერთი ვიღაც გერმანელის ოჯახი.  
შემკრთალი და ფერწასული შიშისგან და ჯავრისგან—  
ბავშვიანი ქალი დახვდა თურმე სახლში ვარისკაცს.  
მამინ შედგა მამაჩემი, ზეფრი არ დაახანა  
და შაშანა დაუბრელი მან პირველად დახარა.  
უთხრა თურმე: ჩვენ პატარებს არას ვერჩით იცოდე,  
ეს პიტლერმა გაუწვარა ჩვენში ბავშვებს სიცოცხლე...  
ადგა ქალი, ყველაფერი მას ზღაპარი ეგონა  
და სურათი უსახსოვრა, როგორც ძმას და მეგობარს.  
მერე, როცა ვაფიშარჯვეთ ამ შეიდი წლის წინათა,  
როცა ზეცა ვარდობისთვის მზის სხივებით ბრწყინავდა,  
როცა მტარვალს ვუკითხავდით სასიკვდილო განაჩენს,  
ეს სურათი თან ჩამოყვდა გამარჯვებულ მამაჩემს.  
ბრძოლის შემდეგ მან შრომაში გაატარა ეს წლები,  
ახლა იგი მოსკოვშია და ყრილობას ესწრება...  
ირა უსმენს, მეგობრისა ყველაფერი გაიგო,  
შეგვერემანი და უღიმის ქერთაშინ დაიკოს.

მზე ამოდის, ფრთა დაკეცა ღამემ გორის ციხესთან,  
ლაყვარდიდან ცხრათვალა მზემ ღიმით გაღმობიდა.  
ცახვ ღრუბლის ჩრდილი არ ჩანს და მიწაზე დარია,  
თმაგიშერა და მოწყვება ქერთაშინ დაიას.  
აღმართ-აღმართ ციხისაკენ მიიჩქარის ორი და,  
მიღიან და ცადაზიდულ მთებს უმზერენ შორიდან.  
იმ მთებს იქით კრემლი არის, კრემლში ბრძენი კაცია,  
ვინც ხალხების ძმობის ღროშა მეცხრე ცამდე ასწია.  
ცას მერცხალი შესწიკვიკვებს გაზაფხულის მაცარს  
და ანთია ცისკარივით ბრძენთა-ბრძენის აყენი.





მერაბ ლავანიძე

ნახ. ალ. გიგოლაშვილისა

# თ ა ი ბ უ ღ ი

მიისი ოცს პირველმა გამოცდამ წვედობით ჩაირა: ეს იყო მარიამის საგანი. არავინ ჩაქრილა — ლიტერატურაში მერვე პირველი კლასი ძლიერია, და ოცდასამში წერითი სამუშაოც წარმატებით ჩატარდა. მარიამს სახეზე ეწერა კმაყოფილება; მეტერთმეტე კლასში-და ჰქონდა დარჩენილი ერთი გამოცდა და, მოულოდნელად, ავად განხდარი ფიზკულტურის მასწავლებლის მავიერად, საზაფხულო მოგზაურობის ხელმძღვანელად დანიშნეს.

ბიჭებს გაუხარდათ მისი დანიშვნა. ჩვეულებრივად ფიზკულტურის მასწავლებლები საყვარელი და მხიარული ხასიათისანი არიან. ასეთი იყო შალვაც. უფრო მეტიც—ახალგაზრდა მასწავლებელი ბიჭებს ძალზე დაუახლოვდა, ამხანაგოვით იყო ბავშვებთან და ყველას უყვარდა. მაგრამ საქმეც მიაგზავია სწორედ! მარიამ ინწყირველი ახლოც იყო მოსწავლეებთან და, ამავე დროს, იმდენად შორს, რომ ბავშვები ყოველთვის გრძნობდნენ მანძილს, რომელიც არც მოკლდებოდა

და არც გრძელდებოდა, — ჩონგურის სიმივით იყო გაკიმული და საოცნებო, დედაშვილური სიყვარულით დაანდამატებული.

სკოლაში ხალხი შეთხელდა, მხოლოდ უფროსი კლასების მოწაფეობა ტრილიებს დერეფნებში. დღეს წერითი სამუშაო იყო რუსულ ენაში. ყველაზე ბოლოს ჯაფარიძემ დაასრულა წერა. დღინიაშვილი და მოდებამე კლასის ფანჯრიდან უთვალთვალდნენ ამხანაგს და შვებით ამოისუნთქეს, როცა მან რვეული ჩააბარა. ქუჩაში გამოვიდნენ სამივენი. არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. ყოველგვარი ტვირთი მოცილებული ჰქონდათ და წინ საინტერესო ზაფხული ედოთ.

ვერაზე გავიაროთო, თქვა მოდებამე, და ბიჭებიც დაუფიქრებლად მიჰყვნენ—ახლა მათთვის ერთი იყო სადაც წავიდოდნენ.

მელიქიშვილის გამზირს დაადგნენ მეგობრები, რუსთაველის ძეგლისაკენ. დილის ათი საათი იქნებოდა. „კომუნისტის“ გამომცემლობის წინ, ფანერის სტენდთან შეჩერდნენ ბიჭები. სპეტანსაცმელში გამოწყობილი სტა-

ნაწყვეტი „ზაზა მესხის“ მეორე წიგნიდან.

მბის მუშა სტენდზე „კომუნისტის“ ახალს, ჯერ კიდევ სეფს—საღებავშეუქმრალ ნო-მერს აკრავდა. ბიჭებმა მერთე გვერდის აწებებას მოუცადეს და, როცა მუშამ თავის საქმე მოათავა, სამიენი ზედ მიადგენ გაზეს.

სტენდის წინ გოგონების გუნდმა ჩაიარა,— ყავისფერი ფორმის კაბებში და სადღესასწა-ულო თეთრ წინსაფრებში. გოგონები ხმა-მაღლა კამათობდნენ, დროდადრო გაიცინებ-დნენ და გუნდად აერიაშლდებოდნენ. ჩან-და, ისინიც გამაცდებიდან ბრუნდებოდნენ. ღვინავილიმა თვლი ვააყოლა მხიარულ გო-გონებს და გაიფიქრა: საოცარია, ანდენი მზადება, შიში. გულისძკარა... ბოლოს ყვე-ლაფერი კარგად თავდება—თითქმის ყველა გამარჯვებული და გახარებული!

ბიჭებმა ფეხბურთის ცხრილი და ინფორ-მაციები ჩაიკითხეს, მეერ უცხოეთის განყო-ფილება მოათვლიერეს და ერთხანს მესამე გვერდიდან კამათობდნენ, ღირდა თუ არა წასვლა ორჯონიკიძის სახელობის პარკში, მოსწავლეთა ტრადიციულ დღესასწაულზე, რომელიც ასე ღიდი ასოებით ცხადდებოდა მესამე გვერდის თავში.

მაგრამ კამათს ბოლო ვერ მოაბეს; მეორე გვერდიან მიმდგარმა მოღებამე ყვირილი ატეხა:

— ორდენი, ბიჭებო, ორდენი!

ღვინავილიმა და ჯაფარიძემ ჯერ ყური არ ათხოვეს, მერე, ბიჭმა აღარ მოისენა, და გვერდი აათვლიერეს. ეს იყო უმაღლესი საბ-ქოს ბრძანებულება მასწავლებელთა დაჯილ-დოების შესახებ. მოღებამე თისს არ აცი-ლებდა ინჭირველის გვარს და შაშვის ბარ-ტყვიით ქულოპინებდა:

— ინჭირველი, ბიჭებო! ორდენი, ბიჭებო! არ ტყუოდა ბიქი! მეგობრები ბარე თხო-მეტი წუთის განმავლობაში იდგენ სტენდ-თან, მერე თვალი კარგად დააჯერეს და სკო-ლისაკენ მოცოცხეს.

სკოლაში აღმოჩა, რომ მარიამის ვარდა სკოლის დირექტორიც დაეჯილდოებინათ, ოლონდ—მედლით. არც მარიამი და არც დირექტორი სკოლაში არ იყვნენ. ბიჭებს გუ-ლი დასწყდათ.

— სახლში მივიდეთ და მივულოცოთ! — თქვა ჯაფარიძემ.

— უხერხულია! — შეყოყმანდა მოღებამე — რა არის უხერხული? — პირველობად არ მიიღოს! — ეს, უმარილო ხარ! გიგიმ ასწონ-დასწონა საქმე და მეგობ-რები დაამშვიდა:

— უხერხული რა უნდა იყოს... მარიამს პირველობას ვერ გამოაპარებ, შეგებდავს თუ არა, მაშინვე მიხვდება, რა შვილიც ბრძან-დებო... ასე რომ წავიდეთ!

ღვინავილი ბარნოვის ქუჩისკენ გაუძღვა ბიჭებს, მაგრამ გზაზე გადაიფიქრეს,— აგრე არ ივარგებს, თუ მისვლაა, მისვლა იყოსო, თქვა გიგიმ: ჯიბეები გადმოიბრუნეს, გრო-შები მოიჩხრაკეს და ვერის ბაზარში შეუხ-ვიეს.

საადრო მარწყვის ყიდვა თქვა მოღებამე, მაგრამ ჯაფარიძემ შეუბღვრა, გიგიმაც იუ-არა, და წერილად შეკრებილი ოცი მანეთი მოხუც მცხეთელ მეყავილეს დახლზე დაუდო. მეყავილემ აფორიაქებული ყმაწვილები სათვალესწემოდან შეათვლიერა თავითფე-ხებამდე, და დახლზე დაყრილი ფული დაუთ-ვლელად აიღო:

— ვისთვის გინდათ, შვილებო?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს,— უხერხუ-ლი ხომ არ არისო მართლის თქმა. მერე გი-გიმ დაასწრო სხევს:

— ერთი მეგობრის დედისთვის, ძიაკაცო... ორდენით დაგვიჯილდოვეს...

\* \* \*

ინჭირველების ბინაში ტელეფონი დიღას აქეთ არ გაჩერებულა.

— აალო, მარიამი ბრძანდებით? მოგიე-ლოცავს, პატივცემული მარიამ, მოგილო-ცავს...

მარიამი მადლობას ამბობდა, ყურებამდე წითლდებოდა, მერე მორცხვად კითხულობ-და, თუ ვინ ულოცავდა, რადგან რეკავდნენ ყოველის მხრიდან— შინაურები და გარეშე-ბი: ნათესაებები, ძველი მოწაფეები, ყოფილ მოსწავლეთა მშობლები, ნაცნობები და უც-ნობებიც.

ბინა თანდათან ივსებოდა ხალხით. მა-რიამს თეთრი საზაფხული კაბა ეცვა, გულზე დიდი, წითელი ვარდი დაებნია ვიდაც მო-სულთაგანს; რბილ ტანტზე იჯდა, ხელში გა-





ნუწყებტივ ეჭირა ტელეფონის მილი. სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ტაქსით მოგრიალდნენ. სამსახურიდან მუდღვე დროზე ადრე განათავსდნენ. დიმილით ეამბორა შუბლზე და ვეცხვრთელა თაიგული თავისი ხელით მნათავსა ბროლის საყვავილემო.

შემიძირა ვილაც ახალგაზრდა ოფიცერი; იგი ვერაინ, თვით მარიამსაც ვერ იცნო, და ოთახში უხვრხული დუმილი ჩამოვარდა ერთხანს. ჰაბუკი ოფიცერი წუთითაც არ დაბნეულა, გრძელი დარბაზი დეშების წკარუნით გაიარა, ზედაც არავისთვის შეუხვდაც, მარიამის ტახტთან მოხდენილად შეჩერდა, ქუსლი ქუსლზე მიირტყა, ქუდი მოიხადა.— მკლავსა და მკერდს შორის გაიღო, და მარიამს ღიმილით ეამბორა ხელზე:

— ზურა კიანაძე, თქვენი გაზრდილი. შევბუღებამი გახალავრა... ამ წუთში ვავიგე... ისეც ვაბირებდი თქვენს ნახვას!

მარიამი გაოცებული შეჰყურებდა ლამაზ ყმაწვილს— თითქმის ბავშვს.

— მოიცა, მოიცა!— წარმოთქვა მან, მერე ფეხზე წარდგა და დეკორაციებით აათვალიერა ყმაწვილი,— ეს შენა ხარ, ბიჭო, ზურა კიანაძე... აი, ის, ორმოცდაორ წელს ფრონტზე რომ გაიქცეო მეთე კლასიდან?

ლამაზი ოფიცერი ისეც იღიმიებოდა. ის სამჯერ იქნა გადაკონილი. დარბაზი ვამოკონილდა და ყმაწვილების ნიშნად ვაისმა სიცილისა და მოწონების შეძახილები. მერე მარიამი და ჰაბუკი დიდხანს ისხდნენ ტახტზე მხარდამხარე. მარიამს თავილუნული და სახელაღწილი ყმაწვილი ქოჩორი ეჭირა ხელში, ყმაწვილს— თავისი თეთრი მხედრული სახაფხული ხელთათმანები; ის ჰყვიროდა როგორ ოცნებობდა ფრონტზე წასვლაზე, და თბილისიდან ვაქცეული, ლინინგრაღში, როგორი ცივი უარი უთხრეს— სრულყოფიანი არ ხარ და ფრონტზე ვერ ვავიშვებო. მერე როგორ ვამწყესეს სამხედრო-სახლავო სასწავლებლში, ხოლო იქ ჩარიცხვისათვის როგორ ვახდა აუცილებელი საშუალო სკოლის ექსტერნისა წესით დამთავრება,— სულ რამდენიმე თვის ვანბავლობაში.

— სწავლა, ჩემო კარგო, სწავლა უბირველეს ყოვლისა!— ვაილიმა ვამყოფილებით მარიამმა,— ხედავ, სად დავხდა სიმწიფის ატესტატი?— მერე ჩაფიქრდა და წარბი შეიკრა,— აი, ამ ერთი თვის წინათ უსიამოვნო

ამბავი შემემთხვა; შენსავით ვამეცქე ერთი ბიჭუნა... მართალია, მისი საქმე ცოტა სხვაგვარად მოხდა. ნიჭიერი ბავშვია, კიდეც მეტი— საყვარელიც... ეს, ღმერთო ჩემო, რამე შემაყვარა ის უცნაური ბიჭი მერე, მე მისი დღეღერები ჩამივარდა ხელში... სოფელი, სოფელი და ისეც სოფელი... თანაც ეჭვი და გულის ატრუება... ასე იცის, ხელი რომ მოეცარება საწვალში, ვული სხვაგან ვამეცქე; თავს იმიედება— უსწავლელადაც შეიძლება. მამა ავრონომი ჰყვია,— ფრონტზე მოუტუეს, სწავლაში ჩამორჩა, ვაჰკრა და ვაუტია. აი, შენ ფრონტზე მივიწყედა ვული, სხვას კიდეც— სხვაგან... ეს, ვიცნობთ, ვიცნობთ, ხელის გულზე ვხედავ ჩემს პატარა „ღონ კიხობებს“...— მარიამმა მწარედ ვაილიმა და დაუშატა,— აი, იმ ჩემს დათუნას ჰგონია, დაჰკრავს თოხს— და შენომს ვამირობა ციდან ჩამოუვარდება...

ჰაბუკი ოფიცერს სახე ასწითლებოდა და, თანხმობის ნიშნად, ისე, როგორც ბევრის მნახველად ამიანებს შეჰყურით, ლამაზ, ხუტუტა თავს აქნივდა.

— ყურადღება! ყურადღება!— ვაისმა უტე მარიამის მიუღლის ხმა; ის აიენიდან შემოვიდა და ღიმილით შემოუძვრა უზარმაზარ ფერად თაიგულს. ხალხი ღიმილით შეხვდა დღეღეციას. მარიამი და ჰაბუკი ოფიცერი ზეზე წამოვდნენ. ვიღაც თაიგული საწერე მავიდაზე არ იქნა მოთავსებული, მარიამს არ დაუშახავს ტანმორჩილი მოღებამე,— იმდენად დიდი იყო თაიგული.

— ჩემი მოწოდებია...— მიუბრუნდა მარიამი ჰაბუკი ოფიცერს ღიმილით.— ხომ კარგები არიან?

ამასობაში მოღებამე თავი ვანთავისუფელა თაიგულისაგან, ჩამოიბერტყა ქოჩორიდან ყვავილის მტვერი, მოუბრუნდა ღვინიაშვილსა და ვაფორიძეს, მოაყვითო, — ანიშნათ, და სამიენი მარიამისაკენ ვამწყობდნენ.

შეჩაქოლდა ხალხი და ვა მისცა ბიჭებს ხელის ჩამოსართმევად. მავრამ მარიამმა, ხელის ჩამოსართმევს მავერი, მოიწყვდია სამივე მკლავებში, მოუჩნათ ქოჩორი სიყვარულით, ამოვიყენა სახელაღწილი ყმაწვილები გვერდით და ჩურჩულით, მხოლოდ მათ ვასავონად თქვა:

— ვამდლობთ, ჩემო კარგებო, ვამდლობთ! და კვლავ ახრიალდა დარბაზი ტაშით, ყიქინითა და მოწონების შეძახილებით.



# მე ლაგხაზე...

## გოტხრობა

დიდი დასვენება იყო და სკოლის ეზოში ერთი ქვილიხილი იდგა. ზოგი სახტომ ირმომი სტებოდა, ზოგი ირმომზე ვარჯიშობდა, ზოგიც სალაბტაოდ შე-  
მოსაწოდ წრხისთან შეგვფუჭულ ბავშვებს შემოსვით-  
და, საიდაც ხმაშალილი კამათი ისმოდა. ბავშვები  
ლაბტაობისათვის მოპირდაპირე გვფუფების შესადგე-  
ნად ამხანაგებს ირჩევდნენ და სადაოდ ერთი მარჯვე  
ბიჭი გამხდარიყო გვფუფების მეთაურათვის.

ბავშვები რაკლად შემორტყმოდნენ მოდავეებს, ხო-  
ლო თვით დავის ობიექტა ვანზე გამდვარიყო და რო-  
გორც ეს თავის ძალაში დარწმუნებულ, ეშმაკ ბავშვებს  
სწევით, კამათში მონაწილეობას არ იღებდა.

დიდი საცდური იყო ეს ბიჭი მოკამათებისთვის,  
რადგან ტანდაბალი, ფიცხი, მოსაზრებელი და სწრაფი,  
ლაბტაობაში ფასდაუღებელი იყო.—ისინი იყო მოვიდა  
და დავის საგანიც ვახსა.

უცებ მიიღო გვფუფი შეჩოჩქოლდა და გაისმა სი-  
ლის ლაწანი.

ბავშვების გუნდს მოსწყუდა ერთი და მანინვე სკო-  
ლის შემოხოსიენ ვაიქცა.

მცირე ხანიც და მეთთე  
კლასიდან გამოსულმა რაზ-  
მის ხელმძღვანელმა ჩხუბის  
ამტეხი პიონერთა ოთახში  
შეიყვანა და კარები მი-  
ხურა.

ბავშვები მიეჯარნენ  
მისურულ კარებს, სადაც  
პიონერხელმძღვანელი ქუბ-  
და:

- კიდეც იზამ?
- არავინ პასუხობდა.
- არა, კიდეც იზამ?
- არავინ პასუხობდა.
- შენ გეუბნებიან, კი-  
დეც იზამ?
- არა,—ძლივს გაი-  
გონეს ბავშვებმა.
- წადი მაშ ახლა, და  
თუ კიდეც გავიბე, შავ  
დღეზე დაგაყენებ!

ბავშვები კარებს მოს-  
წყდნენ და ეზოში გამოი-  
შალნენ. წუთიც, და პიო-  
ნერთა ოთახიდან გამოსულ  
ბიჭს შემოეხვიცინენ.

— მოგზგდა, ზაქრო?  
ზაქრომ ბიჭები შეთ-  
ვლიერა დამცინავდა.

— საქმე გამოვლდვით  
თქვენცა, რის მომხგდა,

რა მომხგდა! ჩვეულებრივ მიყვირა რაზმის ხელმძღვა-  
ნელმა. იმას კი,—აქ ზაქრომ თვალეში უფრო დააბრა-  
ლა,—იმას კი, ბიჭო არ ვიყო, თუ გვერდები არ დვე-  
წილო დღესვე. აქო და რაკლო ხელმძღვანელი ვა-  
რო, მიღის და მახუჭებს. მოჩჩა, მე დღეის შემდეგ  
ალარ მინდა მაგის რაკლოში ყოფნა. ვეტყვი პიონერ-  
ხელმძღვანელს, რომ თინას რაკლოში გადამიყვანის—ის  
ბიჭებზე ყოჩაღია და არც არავინ დაუბუღებია. მაშ  
ბიჭო არ ვიყო, თუ არ მივბეგვო...

ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ ზაქრო უშეკე-  
ლად ანსრულებდა მუქარას და წინასწარვე დაინანს  
მისი რაკლის ხელმძღვანელი.

მალე ზარის ხმამ დაშალა მათი გროვა და ყველა-  
ნი თავიანთ კლასებში შეგრიალდნენ.

\* \* \*

თითქმის ოთხი დღე უთვალთვალეებს ზაქრო თავის  
ყოფილ რაკლის ხელმძღვანელს (ზაქროს თხოვნა  
შეუსრულეს და თინას რაკლოში გადაიყვანეს მეორე  
დღესვე), მაგრამ საცემად

ვერსად მოვიდა ხელში—  
ეშმაკია: ხან მასწავლებელს  
გაჰყვება სახლში წასვლი-  
სას მხარდამხარ, ხან ისე  
გაუბსლტებდა, რომ თვალს  
ვეღარხად მოჰკრავს, მაგრამ  
ზაქრომ თქვა, რომ უთმე-  
ლად ვეცხო, და, მასხადა-  
მი, უნდა სცემოს.

და ერთ დღეს უკა-  
ნასკენელ გავვეთილიდან და-  
ეთხოვა მასწავლებელს.  
ცუდოდა ვარ, სახლში  
გამიშვითო.

მასწავლებელმა თავ-  
მომკვდარუნებულ ზაქრო  
მართლა ავადმყოფად ჩათ-  
ვალა და სახლში წასვლის  
ნება მისცა.

ზაქროსაც ეს უნდოდა:  
გამოვიდა კლასიდან, კი-  
შკამდე ვეხებო ათირია, ჯი-  
შკარს რომ ვასცილოდა, წი-  
ლი ვაივარია, ვადახტა, რი-  
ყის პირას ამოსულ თელებს  
ერთი წკება მოატეხა, კი-  
შკართან კაკლის ვეება ფეს-  
ვებს ამოეფარა და დაიწყო  
ლოღინი.

თითქმის ნახევარ საათს  
უცდავ, და ზარიც დაი-  
რეკა. ზაქრო მღელვარებამ  
შეიბყრო. აქეთ ჩამოვილი-



ტიშკართან ვეება კაკლისხსნ ამოეფარა და  
დაიწყოა ლოღინი.





ლი მოწვევები ხომ არ დამინსახევენო, მაგრამ ყვირილ-ხვილით ჭიშკრიკენ დაშვებული მოსწავლეები მის-კენ არც კი იქურებოდნენ, გაღებულ ჭიშკრიკიდან გაქანე-ბული გამოვარდებოდნენ, იქვე გამავალ რუხე ხტე-ბოდნენ და რიყეში ჩარბოდნენ. რადგანაც დიდი წვიმა-და, რეს წყალი მომატებოდა და ამიტომ გამძვავებები თუ ახერხებდნენ მასზე გადასტოვას.

ბიჭს მოთმინება დაელოდა, მაგრამ მალე გამოჩნდა მისი ლოდინის მიზეზი და ვეცდეს ამოვარებულნი ზაქრიოც წამოვარდა. მიეჭრა გადასახტომად გამწაფე-ბულ თავის ყოფილ რგოლის ხელმძღვანელს და წყე-ბა ზედ ბებენზე გადაუქარა.

— ვაიშე, დედაც! — შებყვარა მოულოდნელი დარ-ტყმისაგან ბიჭმა, მოზარუნდა და ზაქრის ჩინთა მოარ-ტყა თავში.

ბიჭები დედატყენ ერთმანეთს. დიდხანს ძიძგილობდნენ სახტად დარჩენილ ბე-შვების წინ. ბოლოს ზაქრის წაწემაჩრტ ფეხი და-უხსლტა, დაუხსლტა, დაგორდა და მაგრად დაბლუჯუ-ლი მოპირდაპირტ თან გაიყოლა. წყითაც, და ორივენი რუმი ადმოჩნდნენ.

იგორავს, იმძვილავეს, დახვედნენ, დაილაფენ და ბოლოს ზაქრო მოეცვა მოპირდაპირტ ზევიდან. ერთ-ორი უთავა და რაკი დანახა, რომ სკოლიდან ოვარდნილი პიონერხელმძღვანელი უპირებდა ხელის ჩავლებას, გახსლტა, გადაბტა და როგორც დამოთხალ-მა კურდღელმა, ისე მოკურცტა ქვევით.

სირბილისას მოიხედა უკან და თვალი შეასწროს თუ როგორ ბანდნენ ტალახში ამოთხუნულ რგოლის ხელმძღვანელს.

— ბავტ შენ მე რომ ვთქვი, უნდა გეყოფი-მყოფი, მანსახდამე, უნდა გვემო, — მე ტყუილად ბავტ-ბავტ დაი-ლიან მეგავტებმა — გაიფიქრა კმაყოფილმა და ისევ მოუყვა.

დღეს დიდი ამბავი მოხდა ზაქროს თავზე. ვერ გაჩნე ვერც კი მოხულა. ზის მერხზე თავდამხობილი, მარტოდმარტო ამხელა კლასში, და თავი მალა ვერ აუღია. მზე კარგა მაგრად გადაიწვირა დასავლეთის-კენ, ის კი მიანც აქა ზის. სისწარა იყო თუ ცხადი? არა, არა, რის სისწარა, რა სისწარა — ცხლაც უტრებში უღვას თინას ხმა.

თინა... აფსუსა, რა გავო იყო! როგორი წარმოადგენა ჰქონ-და მასზე ზაქროს რტომ ადრე არ იცოდა, რომ მის რგოლს სათაფრზეც არ გაპარებოდა! პირველი ბოლო-მდეტელი ის იყო დღეს. სპეციალურად მისთვის მოწვი-ლია გავომ რგოლის შეტრება და დედა, დედა! რა დღე დააყარა საცოდავ ზაქროს... ალბათ, უფროს პიონერ-ხელმძღვანელთან იყო შეთანხმებული.

პიონერხელმძღვანელმა? მან უარესი თქვა: დირტყობასა და მასწავლებელს კარტყობა სდომებიათ მისი. მათაც ვაუტყობა მისი ამბა-ვი. თუმცა მათი რაზმის ხელმძღვანელს კი უსაყვედუ-რის, „ბავშვებს ცალკე წუ მარბენ და იქ წუ ეჩხუბე-ბოი“, და არც მის ყოფილ რგოლის ხელმძღვანელს

მოუწონა ამხანაგის დაბეზღება. თინა კი შექო გაკვი-რილები შემდეგ რგოლის შეტრებისათვის და ზაქროს ყოფაქცევის საკითხის დასმისთვის... აფსუსა, რა გავო იყო და ასე უცხად... უჟი... არა, ადრევე რომ სცოდნო-და, რა მიყვანდა მის რგოლში? დღეს კი პირველი ის ახდდა და გოგონადელი ჩხუბისთვის ისეთი დღე მეგავტემა, რომ ზაქრო სირცხვილისაგან კინაღამ მერხვეშ ჩაძრა. მარტოსთვის რომ ეთქვა, — ვანდაბას, მაგრამ მთელი რგოლის წინაშე, ბიჭებისა და გოგონების წინაშე... ყველა თინას მიმხროს, ყველამ ზაქრო გააბტყუნა და დარჩენილი მარტოდმარტო, მთელი რგოლის პირის-პირ, ამაოლ აცტყედა თვალებს, რათა ერთის სახეზე მაინც შეემჩნია თანარტნობა, მაგრამ ვინც ხიტყვა არ დაძრა შეტრებაზე, ისინი თვადღებთ, უხსტყვოდ კი-ცხადუნენ. არც ერთი მომხრე, არც ერთი მეგავტემა... აფსუსა, სოლომონი სად ჰყავდა! მისი საყვარელი მე-გობარი რაღა ეხლა არი ავაღ? ის რომ ამ ყოფილიყო, ისე არ დაიპაფივებებდა ამთა ზაქროს. ის ყველაზე წესიერი ბიჭია, მისი ნახატები თბილისშიაც კი წაი-ლეს გამოფენაზე, — უფრო დაუფებდნენ, უყვევლად მო-უხსენებდნენ და იქნენ ცოტათი მაინც შეტრებილებმა... იმ ბიჭს უწოდეს სირცხვილი, რომელიც დღეს დაატყდა თავს ზაქროს.

თუნდა, კაცმა რომ თქვას, მართლები კი იყვნენ. როცა ასე კიხხადუნენ ზაქროს. მართლა და მართლა რა ვახდნენ ხსებენ, როცა ასეთ ქებას იმსახურებენ მასწავლებლებისა და უფროსებისაგან? ზაქრო რა, იმათზე ნაკლები ბიჭია? აი, თუნდაც თინა ავიღოთ, ან თუნდაც თვითონ სოლომონი — ყველას უყვარს, ყვე-ლა პატივს სცემს... არა, არა, მართალი იყვნენ გე-ვლანი, როცა ზაქროსა ჰკიხხადუნენ ცდილი ყოფაქცევი-სათვის — განსაკუთრებით ჩხუბისათვის. ყველა მართა-ლი იყო მის წინაშე და ის ერთი ტყუილად მათთან. ტყუილად ნამდვილად... ვაი, რა დღე დააყარეს მაგრამ დღეიდან ეცდებოდა ზაქრო, რომ ყველაფერი გამოსწო-როს. ყველაფერი, რაც კი ნამდვილ მიონენს სასულს უტტებს. და აი, თქვენ ნახათ თუ ზაქრო სანიშნუში მიონერი არ იქნება მთელ რგოლში.

ბიჭმა თავი აიღო, მიიხედა-მოიხედა, არავინ იყო კლასში, ყველას მიტოვევინა. ძლივს ათირა წელი. აფა და გარეთ გამოვიდა სახლში წასასტყუელი.

კიბესთან რომ მივიდა, შეტრება და მიწიან ჩარ-ჩოს შეხედა, სადაც თავიანი რაზმის კედლის გაწეტი იყო ჩვეულებრივ მოთახსტყუელი.

შეხედა და იქვე გაშეშდა, როდესაც ახლად გა-კრულ გაწეში ნახტს მოჭრა თვალი.

დააკვირდა კარგად, თვალებშიც ახახამა, მაგრამ დასწყველოს ეშმაკმა: ნახატი ისევ ისეთი იყო, რო-გორიც პირველ დანახავზე — დიდი კაკლის ქვეშ ვამა-ვალ რუმი წაქცეულ ბიჭს მთრეე ბიჭი გადასჯდომი-და და მუშტას სცემდა ქვეშ მოყოლილს.

და ზაქრომ აშკარად იცნო თავისი თავი ზვიდიან მოქცეულ ბიჭში.

— საკვირველია ასე როგორ დამამგავსეს, — წაი-ბუტბუტა თავსთვის და ახლა ნაწერს დახედა. ქვეშ თინა აწრდა თავის ვეჯის. აქაც გაკიცხა იყო.



ბიჭი დალონდა: განა ერთი მეგობარი მაინც რომ უყოლოდა, გაუფრთხი დახატვის მაინც არ ააცდენდა? ახლა ხომ მთელმა სკოლამ უნდა გაიფრთხი და ნახოს ეს გაუფრთხი? აუფუსს რატომ სოლომონი მაინც არ არი რეკოლმეგობარი? მასაც ანეწენდნენ გაუფრთხი და მის გვარს რომ ნახავდა შიგ, ამოშლიდა და ამ ნახატსაც დააფხრწენებდა, დედა, დედა! მთელი სკოლა ნახავს სვალ და...

ბიჭმა მიიხედა-მოიხედა. არავინ ჩანდა სკოლაში. მაშინ დაუწყო წვაღებმა გაუფრთხის ჩარჩოს, გახსნა როგორც იყო და გვიბიძან ქიმიური ფანქარი ამოიღო. ის იყო უნდა სრულიად დაედღაბნა მთელი ნახატი, რომ თავისი სიტყვა გაახსენდა დღევანდელ რგოლის შეტერებაზე. გაახსენდა თავისი სიტყვა.—მოინერსული სიტყვა, რომ ამოირიღან ცუდად აღარათურს ჩაიღებდა და სანამთუშო პოინერი იქნებოდა.

კეთილგონიერებამ უკარგა ნახა და გახსნილი ჩარჩო ისევ დახურა. დღემდე კიბეზე ღა ქიშკარაში გახვლისს რუში ხელი გადაიბანა.

„არა, კარგი ვეწინ, რომ ნახატი არ წავშალო! ხომ ყველა მიხვდებოდა, რომ ჩემი ნაშრომდარი იქნებოდა? მაშინ ხომ სელმეორედ გამწერდნენ გაუფრთხი და ახლა მთელი რაჴმისა და სკოლის წინაშე გამაშავებდნენ? ვაი, სირცხვილი! თავი ხადლა უნდა გამომეყო? აღარც ხასხლა მიმეხვდებოდა და აღარც სკოლაში... ძალიან კარგი ვეწინ, რომ არ წავშალო, მაგრამ გავიგებ კი ვინ დახატა, მაგრად წავუთაქებ, და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი აცვატობა. უფიქვლად ვცემ უკანასკნელად... კარგად კი არი დახატული, საინტერესოა, როგორ დამამსგავსა. სოლომონს ვკითხავ, ვის შეეძლო ისე დახატვა, იმას ეცოდინება. ის იცნობს ამისთანა „მხატვრებს“. უფიქვლად მტყყვის და...“

და აქ გაუწყდა ფიქრი ჴაქროს, რადგან გზად ჩამოვლილს გზის პირად კაკლისხე დახვდა კობხად და გვილ ეწოში წამოქიშული.

„ბიჭოს კარგა ბლომად ასხია ისე?“

დაიხარა, აიღო ქვა, ცხროლა და ჩამოცვენილ კაკალს ხრიალი მოაღენინა ძირს.

— აი, გაგაქვავოს ღმერთმა, ამა! ეწოს რა ქვა-ღორღილთ ავსებ, ვინა ხარ, შე არგანასწრდელი! — მო-

ესმა ჴაქროს და გოხზე დაბეგნილი ბებერიც უწყვეტ მოხინდა.

ჴაქრომ კაკალი მოკრივა და ის იყო ენის გამოყოფას, „ბებერიკანქვას“ დაძახებას და გაქცევას აპირებდა, რომ გაახსენდა თავისი სიტყვა შეტერებაზე, და გაშტერებოთ დაუწყო ყურება მოხუტს.

ყველგან გაიკივბა; — გაფიქრა ბიჭმა, და რადღ დიდ დამნაშავესათო მოხუტისაკენ წვაიდა.

— მახატებო, ბებო! ნუღარ დამწველი. აი, ამის მეტი არ ჩამოცვენილა... მოიტა მავ ქვას მე გადავადებ... აი, დედას გეფიცებო, ბებო, ამის მეტი არ ჩამოცვენილა, აიღე და მახატი, მტეს აღარ დავაყრევიწებ ადარასოდეს.

განცვიფრებული მოხუტე კარგა ხანს იდგა, უტყვიროდა ბიჭს და ენაზე მომღვარ წყველას უკანვე იბრუნებდა. ბიჭს იცნობდა, ის აკვირებდა, ლორქი განა პიონერის ჴრდილობა? კარგა ხანს უტყვირა ბებოამ, მერე გაიღინა:

— არაფერია, შვილო, ნუ გეწიხება, წაიღე ეგ კაკლებიც, მხოლოდ ჩამოყრის ღრის ქვას ეწოში ნუ გადაშაგებ. წაიღე შვილო, წაიღე, მე ნუ მაწვილი, შენ გაუმრაველი შენს დედას.

ბიჭმა უარესად დაირცხვინა ბებრის დალოცვაზე და ბოლოს, რაკი ნადავლი უკან არ მიიღო პატარისმა, მადლობა გადაუხადა, გვიბიძგი ჩაიხრიალა კაკლები და სოლომონის სახლისკენ გასწია პირდაპირ.

სოლომონი ფხვზე დახვდა ამღვარი, რამაც ძლიერ გაახარა. მისი ჯანმრთელობის მოკითხვის შემდეგ ყველაფერი უამბო, რადღღ თავს გადახდა და ძლიერ გაუტყვირდა, როცა სოლომონმა არ გაიკვირვა არაფერი.

— ყველაფერი ვიცოდი, — თქვა სოლომონმა.

— საიღან?

— თინა იყო ჩემთან, შენი მოხვლის წინ.

ჴაქრო დაფიქრდა.

— კარგი გოგო მეგონა თინა, მეგონა მიმეგობრებდა, მაგრამ ჩემი პირველი მტერი ეგ გამოდგა.

სოლომონმა გაიცინა.

— პირველი მტერი კი არაა—პირველი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი!

— რას ამბობ, სოლომონ! — წამოხტა სკამიდან ჴაქრო.—რის მეგობარი ჩემი ყოფილი რგოლის სელმძღვენელი ჩემად მაინც მამეწვდებოდა, ეგ კი, ეშმაკებიცს მაგის თავი, წამოდგარგოლის შეტერებაზე და სა-



— საკვირველია, ასე როგორ დამამსგავსეს,— წაიხუტებულთა თავისთვის



გაროდ შემარცხენა. მეგობარიო? ასეთი უნდა მეგობარი!

სოლომონმა ლამილით დამხმევიდა:

— ფიცები ხარ, ზაქრო, საქმეს ანგარიშს არ უწყვი. „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უჯანაო“, არ ვაგვიგია?

— ახლა, რაკი სოლომონი გქვია, ბრძანდნუ კი იქცევი. მერე, რომ უძრახე, უძრახეთ—კაცი კი არ მოკალიო!

— არაფერია, ეგ ვაკევილი — იქნება, ჩემო ზაქრო. — დიდდვით დაასკენა სოლომონმა.

ზაქრო კარგანანს დღედა და მერე ისევ მეგობარს მიაჩერდა:

— ერთი რამ უნდა გკითხო და არ დამიშალო, პირდაპირ მითხარი, თუ ნამდვილი მეგობარი ხარ, პირდაპირ მითხარი.

— აბა თქვი, რა გინდა?

— ჩვენი რაზმის გაწეოში დახატული ვარ.

— ვიცო.

— საიდან იცი?

— თინა იყო გუშინ საღამოს ჩემთან.

— ისევ თინა. მამ გუშინვე გაუკრავთ ის გაწეო.

— არა, დილას.


— შენ საიდან იცი, როცა სახლიდან არ გამოსულხარ?

— თინა იყო დილას ჩემთან.

— ისევ თინა... რა გახდა ეს გოგო? შო და, იმას ვამბობდი: გაწეოში ვარ დახატული და შენ გეცოდინება ვინ დამხატა.

— ვიცო.

— იცი?! — წამოხატა სიხარულით ზაქრო. — მამ მითხარ ვინ არი. დაფიცული ვარ მიგტყეო.



— შენ გეცოდინება ვინ დამხატა.

— უთქველად უნდა მიგტყეო?

— უთქველად, დაფიცული ვარ! თუ ნამდვილი მეგობარს ხარ, უნდა მითხრა, ვინ დამხატა.

— თუ ნამდვილი მეგობარი ვარ, გმტყვი ვინ დამხატა.

— აგრე, სოლომონ! მე ვიცო, რომ შენ არასოდეს ჩვენს მეგობრობას არ უღალატებ.

— არც მიღალატინა.

— აგრე, სოლომონ! აბა, მამ მითხარ, ვინ დამხატა?

— მე დამხატე.

სახლის ჭერი რომ ჩამონგრეულყო და კედლები ერთმანეთისკენ წასულიყვნენ ნიჭების გასაქუტელად, ისე არ შეკრთებოდა და განცვიფრდებოდა, როგორც ახლა შეკრთა და განცვიფრდა ზაქრო.

— შენ დამხატე?

— შე დამხატე.

ზაქრომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიიბჯინა მკერდზე, ხალათის ღილსქვეით.

— შენ დამხატე?

— შე დამხატე.



ზაქრო წელში გასწორდა და ისე შეხედა მეგობარს:

— შენ დამხატე?

— შო, შე დამხატე.

მეგობრებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და ზაქრომ სოლომონის ნაადამყოფარ სახეზე და ცოცხალ თვალბრუნებში ამოკითხა უწომარ სიყვარული და მეგობრობა მისდამი. ათროლდებული ხელი მოუთათუნა მხატვარს გამხდარ ბეჭებზე და ღმრთილით, რომელშიაც სინაზე და სიყვარული იყო ჩაქსოვილი, წაიღობარაკა:

— საკვირველია, როგორ დამამხატე...



## ქუთაისის ოქლის პიონერთა სახლი

ქუთაისის საიკომბილო ქარხნისაგან რომ მიღობათ, თქონ ხელს გასცდებით თუ არა, ხელმარჯვნივ თქვენს ყურადღებას იპყრობს ოქსათულიანი შენობა. ეს არის ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლი. აქ, მთელი დღის განმავლობაში სემინარი, მხიარული კრიამულა, მოწინავე პიონერები სრავლად არიან გვერთიანებლი ნორჩ მწიგნონელთა, ნორჩ გეოგრაფთა, ნორჩ მოჭადრაკეთა, ხელსაქმისა და ფოტოფორტების. ხალისით მუშაობენ შიმღერალთა გუნდში, მოცეკვავეთა ანსამბლსა და დრამატულ წრეში.

ქუთაისის პიონერთა საოლქო სახლში მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან ფოტოსაქმეს. მოსწავლეთა სიყვარული აქვს დამსახურებულ პიონერთა სახლის მმართველთა გუნდსა და მოცეკვავეთა ანსამბლს.



პიონერთა სახლის მხატვართა წრემ მრავალი ნიჭიერი ნორჩი მხატვარი გამოავლინა. აქ აღზრდილი ნორჩი მხატვრები ახლა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და სხვა სახმატვრო აკადემიებში სწავლობენ.

ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლი ნაყოფიერ შემოიბის აწარმოებს ნორჩი თიბის კომუნისტურად აღზრდისათვის.

3403 რე. 080840

სურათები: 1. ქუთაისის პიონერთა სახლის შენობა; 2. ნორჩი მხატვრები; 3. მოსწავლეთა საოლქო სახლის ახლანდელი უფროდანი კორპუსის შედგენილობისა; 4. ნორჩი მხატვრების გამოკვებისა; 5. შეყვარებულნი; 6. ნორჩი მხატვარი კატრინა ტილოვ სემინარის წევრების დროს; 8. დრამის წევრები დაამტკიცებენ მხატვრობისა.

მოსწავლეთა საოლქო სახლის ფსონისაგანსა სწავლებით დაცვებისა; 3. ნორჩი მოჭადრაკეთა პრაქტიკული დისტრიბუციისა; 4. ნორჩი მხატვრული კომისიის ფუნქციონირებისა; 5. ნორჩი მხატვრული კომისიის წევრებისა; 6. ნორჩი მხატვრული კომისიის წევრებისა; 7. ხელსაქმისა; 8. ნორჩი მხატვრული კომისიის წევრებისა; 9. ნორჩი მხატვრული კომისიის წევრებისა; 10. ნორჩი მხატვრული კომისიის წევრებისა.







# ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

## პიონერები ბელადის სახლთან

გადმოიარეს მთები და  
თვალსუფენელი ველები.  
მოდიან, თაიგულებით  
დაუხუნძლიათ ხელები...  
გალიმებული სველებთან  
გორელი პიონერები.

ყველა კუთხიდან დაძრულა  
მათი ნაკადი უღევსი.  
გაბრწყინებული თვალეებით  
და სახეგაზადრულები,

ბელადის სახლთან დგებიან  
აშლერებული გულებით.

მღერიან, ტკბილად მღერიან,  
ყველა აქ არი:—ქართველი,  
უკრაინელი, ტაჯიკი,  
თუ რუსი თვალეზნათელი.

მიზრინავს მათი მადლობა  
გორის ციხიდან კრემლამდით...  
იციან, ამ ტკბილ სიმღერას  
ღიმილით ისმენს ბელადი.

ოთარ შილაძე

## ორი შუქურა

გზას გვიჩირადნებს შუქურა ორი,  
ჩვენი სიცოცხლე და გაზაფხული:  
ღივი ბელადის სამშობლო გორი:  
დედა მოსკოვი—მსოფლიოს გული.

სხვა ქალაქები ვერ ვსცან ამგვარი,  
ორი ქალაქის მზე დაგიფიცე:

გორში ღვიწკა მისი აკვანი,  
ვინც მოსკოვიდან ანათებს სივრცეს.

მსოფლიო მისდევს, მსოფლიო იცნობს  
მათ გზას—ღიდების შუქით მოფენილს.  
ბნეულეს ანათებს სამარადისოდ  
ორი შუქურა ჩაუქრობელი.

პარლო კობერიძე

## ციმლიანსკიდან აფრინდა მტრედი

ციმლიანსკიდან აფრინდა მტრედი —  
ალარ ამბიებს ძველი იარა;  
კამარა შექერა მსუბუქი ფრთებით  
და ტრამალები ვადაიარა.

დაე, გასძახოს მსოფლიო ხალხებს,  
მწყიდობის ზღვები როგორ გაშლილან,

ორი მდინარე გოლიათური  
ერთურთს რა ძალამ დააკავშირა.

ვით გააბრწყინა ხალხების ბედი  
უღიადესმა აღამიანმა...  
ციმლიანსკიდან აფრინდა მტრედი  
და ტრამალები ვადაიარა.

ელგუჯა აბლაძე

## მ ე ბ ი გ ე

მთის გულში დგანან დაუღლულები  
მძიმე ტვირთის ქვეშ ფიჭვის ძელები,  
ზოგან არიან ჩამუსხლულები  
ვალმოხდილები ძველისძელები.

მიღის მებეგვი... ვით კარგი მებრე  
ბერ ხარს აუშვებს, მოზვერს დაუბამს,

იხე გამოსნის ჩამუსხლულ ძველ ხეს  
და მის ადგილზე ახალს დაუდგამს.

მისი ღიღინი ჟღერს მშვიდობის ხმად,  
მშვიდობის ბურჯი მთას ებრძვის ურჩად,  
ურჩი მთა რომ არ ჩამოშვეს რისხვად  
ბიგი შეუდგა მშვიდობის ბურჯად.

გომი შირაძე



მარიკან პლენსიძე

ნახ. ვლ. ტაროტაძისა

# შეგირდები

მოთხრობა

— პატრეცემული ოსტატო, სახარატო ჯგუფი № 7 გამოსცხადდა სამეცადინოდ 23 მოსწავლის შემადგენლობით. შიო პაპუნაშვილი ტრამვაიდან ჩამოვარდა და ფეხი დაუშავდა, შალიკო კიკნაძე პოლიკლინიკაში გაყვა, — მოახსენა ოსტატ მიხან ამ ჯგუფის მშასახლისმა — ვასო იმნაძემ.

— როგორ, რა მოხდა? — შეწუხდა ოსტატი. — შიო ხომ ისეთი წყნარია, თავდაბერილი. როგორ დაეშართა, ტრამვაიზე რა უნდადა? რამდენჯერ ავტორბოლეთ ტრამვაიზე დაკიდებდა!

— იმასაც არ უნდაო, უნებლიედ მოუვიდა!

— ვინ იყავით მასთან? — დღაღდა ოსტატი. — მიამბეთ დაწერილებით. სად? როგორ?

— არავინ არ ვიყავით, მართო იყო. კიდევ კარგი, რომ დროზე შევნიშნეთ. იმან დაიგვიანა, ჩვენ არ მოვეცადეთ... წამოვიდით... ტრამვაით რომ ჩამოგვიტროლა, დავინახეთ, გაჩერებამდე არ ჩამოსულა. ჭარხანას რომ დაუბრისპირდა, ჩამოსტა და ტრამვაიმ აითრია... ჩვენ ვიყვირეთ, შალიკო გაიქცა, ტრამვაი გაჩერებულ იყო, შიო უფროდ ეგდო, გაფითრებული... — ერთმანეთს არ ავლიდნენ სიტყვას ადუღლებული ბიჭები.

— ამჟამად როგორ არის, არ იტყვიეთ? — შეეკითხა მიხან.

— ჩვენც ვე ვაწუხებებს, პატრეცემული ოსტატო, იქნებ თქვენ შეიტყუოთ ტელეფონით, ან ვინმე გაგვზავნათ პოლიკლინიკაში, — ემეწუხებოდნენ ბიჭები.

მიხან დააყენა მოსწავლეები დახვებთან, გაუნაწილა სამუშაო, თვითონ კი უფროსი ოსტატის კაბინეტში შევიდა, რომ შეეტყობინებინა მოულოდნელი მარცხი.

ოსტატმა მანინეც კუდი დაიხურა და წავიდა დირექტორთან, მეორე შენობაში, საქმის გასაგებად.

სასწავლო ნაწილის გამგემ უკვე ყველაფერი იცოდა. შალიკო კიკნაძეს პოლიკლინიკიდან დაერგვა: შიოს მუხლი საქმაოდ დაეცილი აღმოჩნდა, გული მესწუხებოდა. ახლა, გონმოსუსლი, სსწრაფყო დახმარების შემდეგ ახლობელ საავადმყოფოში გადაყვანათ.

შალიკოც გაჭყოლოდა ტანისამოსის წამისღებად. ვიდრე უფროსი ოსტატი სამეჭროში დაბრუნდებოდა, საქმით დრომ გაიარა.

ოსტატი მიხანც დღაღდა და ნანობდა, რომ თვითონ არ წავიდა ამის გასაგებად.

ბავშვები უფლოდ მუწხოზდნდნენ.

როგორც იქნა, დაიჭრიალა კარმა. ბავშვებმა თვალები კარისკენ მიაკურეს. უფროსი ოსტატი ღიმილით შევიდა სახელდარსო სკოლის სამეჭროში, რომ ბავშვებს წინასწარ გახარებოდათ აშხანავის კარგად ყოფნა.

— გადარჩა, მხოლოდ მუხლი ჭკონია დაეცილი. გონს მოსულა და საავადმყოფოში წაუყვანიათ.

— მაშ, შალიკო რატომ არ მოდის? — უნდობლად შეეკითხნენ ბიჭები.


— შალიკოც მალე მოვა. დაწერილებით ის მოგიყვებათ ყველაფერს, ახლა კი ნუ გააცდინთ სამუშაოს. ისე მიმუშავეთ, რომ წუნი არ იყოს.

— დღეს რომ წუნი არ იყოს, გასაკვირველიც იქნება, — ჩაილაპარაკა არჩილ აროზბელოძემ.

ოსტატმა უკმაყოფილოდ შეხედა.

არჩილოდ ყოველთვის ეჩხრებოდა თვალეში ოსტატებს. ისეთი რამე წამოცდებოდა, რაც ოსტატებს არ ეამებოდათ.





— კვათ ვერ ვისწავლე, — შესწივებდა ხოლმე არჩილი გურამს, რომელიც მის გვერდით იწეოდა თანაზრობით. — ეს ტიალი ენა მისწერებს, რა მაღაპარაა, რა მრავალი ჩემთვის ვიყო არ მირჩენია. აი, სიყო ზახუნაშვილი... არის თავისთვის, გულუღივი...

არჩილი დაატყო, რომ დღეს მისი საქმე მაინც დამიწეო არ იყო კარგად.

გურამი, შიოს ამბის გაგებამდე გული სამუშაოზე არ მისდიოდა და ამდენ ხანს ვაცდა, მერე ოსტატმა გააფრთხილა — წუთი არ იყოსო. ანუ არა, იმიტომ იყო თქვენი, რომ მისწავლეები კალაპატოში ჩამდგარიყვნენ და არ გაედინებოდნენ. მესამე, რაც უფრო მთავარია და რაც ხელს უშლიდა მუშაობას, ის იყო, რომ საჭრისი არ უნდა გაეფრთხილებოდა.

უცხად რაღაც აზრობა გაუფრთხილა თუშო.

ხელსაწყოების კარადა ღია იყო. არჩილი მივიდა, თავისი ბლაგვი საჭრისები დააწყო, შიო ბაბუნაშვილის გაფრთხილებული საჭრისები სვეტინასამოსის ჯიბეში ჩაიწყო და დახვასთან დადგა.

ეს ყოველივე თვალის დახამამამებში მოხდა. სასწრაფოდ გამოცემა სუპორტივი საჭრისი, დახვთა, გამოასტვთავა ძენით, დააყენა ცენტრში, ვახანში გაამგრა ნაქები და ჩაუბრუნა ელექტროდენი.

არჩილი ხედავდა, რა სისწრაფით ვადანაკალა დეტალს ხედავდა; დახვებ დაწერილი ზომები შეამოწმა და კმაყოფილი დარჩა.

— ხესტაქ! არაფერი შეწვლია, — თქვა კმაყოფილმა არჩილმა. — მოდი, შიოს ნორმასაც შევსაყრულებ, — გაიფრთხილა არჩილმა. — ოღონდ გავაფრთხილა ჩავაბარო! სულ ერთი არ არის, იგანე ვაკეთებებს თუ პეტრო. კარგად უნდა იყოს! რაც შეეძება საჭრისებს, ვიდრე შიოს ფეხი მოუჩრებეს, ათასჯერ ვაუფრთხილებ. — და არჩილი სისწრაფის სახელურს შეწვია. ოსტატმა ჩამოიბარა:

— არჩილ, მე გურამს არ მომიცია მაგ სისწრაფით ამაღწეო დახვთა. თანდათანობით უნდა შეეჩვიო... აჩქარება არ იფარავს, შენ გურამს არა ხარ ისე დახვლოვინებული, რომ დიდი სისწრაფით იმუშაო.

ოსტატს ვაუფრთხილა, არჩილის ნახვლები რომ წახვ: ეს გაცილებით უკეთესი ნახვლები იყო.

— ყოჩაღ! — შეაქო ოსტატმა არჩილი.

როდესაც ჩააბარეს ნახვლები, არჩილის გაცემებული დეტალები ყველაზე კმახად იყო გამოაჩრებული. ხუსტი ზომები იყო დაცული.

შალიყო რომ დაბრუნდა, უკვე სადილობის დრო იყო, ეტყობოდა ბიჭი იქნაროდა, ხეივანი გადასდიოდა. უამბო ანაწარაგებს შიოს თავადასავალი, რომ ფეხი თაბაშირში ჩაუდგეს, რომ შიო ძალიან წუხს, ცურობაში ხელს შემიშლისო, და ბოლოს დასძინა:

— ვიქაროდი, შიომ დამაბარა საჭრისები შემიწახვო. თორემ ვინმე წუწუნი მიითვისებს და რაღაც ვეშვებოდა! თურმე საგანგებოდ გუშინ აუფრთხილეს და დღესათვის ინახავდა.

ამ სიტყვებით შალიყო პირდაპირ კარადისაკენ წავიდა.

— ღუი, ამის ჩამდგენს, — დაიბნა გულისწერაში შალიკომ, — ვიღაც არაშხადანს შეუტყლია შიოს საჭრისები, ჩემი მაინც აეღო იმ უსინდისოს, რა ვეჯაცობაა,

ხომ არ კვებობდა შიო, რომ იმის იარაღს დეკატრულო რომენი. რა გატკბებდათ?

არჩილი დეხვასთან გაშრა, სირცხვილისაგან დაილია. ყველაფერი მოულოდნელი იყო. ჯიბეში ჩადებული საჭრისები გულს უტრდენენ და ცცხლს უკიდებდნენ. „აუდემყოფი ანაწარაგ შეუცვალე იარაღი, ცოტა გვიან მაინც მოსულიყო შალიკო, კარადა დაიხურებოდა და ყველაფერი თავის ადგილზე ეწყობოდა.“ — წუხდა არჩილი და ფეხში ცრემლი ეგზინებოდა.

უნდოდა არჩილს ჩუმად მისულიყო შალიკოსთან, ეთქვა თავისი დანაშაული. შალიკო უტყვევლად აპატიებდა, მაგრამ გვიან იყო. ბავშვები განცვიფრებული უტყებოდნენ. შალიკოს ხელში გვირა არჩილის ბლაგვი საჭრისები და სწორედ ეს ხელი შეჭყინოდა ჰაერში სიბრაზისაგან და აღფრთხილებს.

მეტი გზა არ იყო, არჩილი უნდა გამომტყაროდა დანაშაული ოსტატისა და ანაწარაგების წინაშე. უფრო კი ის სწინდა არჩილს, რომ შალიკომ ასე მკაცრად ეთქვა: „შიო ხომ არ მომკვდარა, რომ იმის იარაღს დეკატრულოთო.“

„მე იმიტომ გავციდი, რომ სწორედ შიოს მდგომარეობა მაწუხებდა, ახლა კი გამოდის, თითქოს მე მობრუნული ვიყო მისი ავადმყოფობისა...“ არჩილს ცრემლები დეცვივდა, მივიდა და აკანკალებული ხელებით ოსტატის წინ ჩუმად დააწყო შიოს საჭრისები.

დღემიო იღვა სახელსონში. ისეთი გამომტყველებული არჩილს, რომ ყველას შეეცოდა თვით უფროს ოსტატსაც არაფერი უთქვამს არჩილისათვის. ჩუმად ჩამოართვა იარაღი და კარადაში დააწყო შიოს განცვიფრებულში. ბიჭები დღემიოთ გამოვიდნენ სამაქროდ. არჩილი მარტო დარჩა. ჩამოვდა მერხზე და მწარედ აქვითინდა.

„ასეთი უიღბლო ვარ, — ფიქრობდა ბიჭი, — შემიკვლავდა მე უნდა ვადამხმდეს ყველაფერი.“

არჩილი ისე დაიარცხენა, რომ არც კი ისაძლია. პირდაპირ საერთო საცხოვრებელში გაიპარა, თვალები აშოიშორალა და დაისახლის ანტონინსთან შევიდა გულის ვადასაყოლებლად.

დღიდა ანტონინამ მამინეე იგრძნო, რომ ბავშვს რაღაც შეემთხვა.

— ალბათ რაიმე ვადამხდა, რათა ხარ აბუხული?! — დედობრივი მზრუნველობით შეეკითხა ქალი.

— შიო ტრამევიდან ვადმოვარდა, — დაბალი ხმით უთხრა არჩილი.

— უჰ, უჰ! გვ რა მესმის! — შეწუხდა ანტონინა, და არჩილი დაწერილობით უამბო ყველაფერი, რაც იცოდა და არ იცოდა.

